

# „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ



საქართველოს პარლამენტი დარეგისტრირდა პარლამენტის წევრების საკანონდებლო ინიციატივა, რომლის მიზანია პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

საკანონმდებლო ინიციატივას საფუძვლად ედო პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება.

**კანონპროექტი, ინიციატივა**

**საკანონმდებლო ინიციატივა:** „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ და თანმდევი კანონებში ცვლილებების პროექტი.

**ინიციატორი:** სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ცოტნე ზურაბიანი, ვანო მარდიანიშვილი, ირაკლი ბერაია, ანრი ოხანაშვილი

**ავტორი:** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

**კანონპროექტის არსი**

საკანონმდებლო ცვლილების მთავარ მიზნად, განმარტებითი ბარათის თანახმად დასახელებულია კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის რეგულაციებთან.

2018 წლის 25 მაისს პერსონალური მონაცემების დასაცავად ევროკავშირის ტერიტორიაზე ახალი რეგულაცია, – General Data Protection Regulation (GDPR) მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულირება შევიდა ძალაში, რომლითაც პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები არსებითად გაუმჯობესდა. რეგულაცია შეეხო როგორც ევროკავშირში რეგისტრირებულ ყველა ორგანიზაციას, ასევე ორგანიზაციებს, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეებს აწოდებენ სერვისს ან საქონელს.

თავის მხრივ ასოცირების შეთანხმების I დანართის თანახმად, საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის No 95/46/EC დირექტივასთან. ეს დირექტივა 2018 წელს GDPR-ით შეიცვალა.

პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად ცვლილებებს:

- იზღუდება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით თანხმობის გარეშე მონაცემების დამუშავება მიუხედავად მათი საჯარო ხელმისაწვდომობის;
- რეალიზებულია ე.წ. „დავინწყების უფლება“ (Right to be forgotten), მათ შორის პირის უფლება მოითხოვოს საკუთარ მონაცემებთან დამაკავშირებელი ბმულების წაშლა;
- მცირდება მონაცემთა დამუშავების საფუძვლები;
- კონკრეტდება არასრულწლოვანი პირის მონაცემთა დამუშავების წესები;
- საჯარო უწყებებში და მსხვილ ორგანიზაციებში იქმნება პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცის ინსტიტუტი;
- შემოდის ინციდენტის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის შეტყობინების ვალდებულება და ა.შ.

## 1. თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ინფორმაციის დამუშავებაზე

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით არ საჭიროებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, თუ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო წყაროებიდან.	მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დასაშვებია ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. დგინდება ვალდებულება, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას მონაცემთა დამუშავებელმა/უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად და მარტივ ენით გაუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლების და მისი განხორციელების შექანიშის/წესის შესახებ.

## 2. მონაცემთა დამუშავების უფლების წაშლის ან განადგურების უფლება (RIGHT TO BE FORGOTTEN)

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამტოს, დაბლოკოს, წაშლოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის სანინააღმდეგოდ.	მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება თუ: <ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება;</li> <li>მონაცემთა სუბიექტი გაითხოვს თანხმობას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთადერთ საფუძველს;</li> <li>მონაცემთა დამუშავება მოხდა/ხდება უკანონოდ.</li> </ul> მონაცემთა სუბიექტს ასევე აქვს უფლება ნებისმიერ მონაცემთა დამუშავებელს მოთხოვოს მის მონაცემებთან დამაკავშირებელი ყველა ბმულის წაშლა.

## 3. სანქციები პირდაპირი მარკეტინგის წესების დარღვევისას

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
<ul style="list-style-type: none"> <li>ჯარიმა 3000 ლარი;</li> <li>განმეორებით ჩადენისას – 10 000 ლარი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ჯარიმა 2000 ლარი, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირის ბრუნვა არ აღემატება 50 000 ლარს;</li> <li>განმეორებით ჩადენისას – 4000 ლარი;</li> <li>ჯარიმა 3000 ლარი, თუ იურიდიული პირის (გარდა ა(ა)იპ-ებისა) ბრუნვა აღემატება 50 000 ლარს;</li> <li>განმეორებით ჩადენისას – 6000 ლარი.</li> </ul>

## 4. მონაცემების დამუშავების საუბუქები

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;</li> <li>თუ საჭიროა მონაცემთა დამუშავების მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;</li> <li>თუ საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;</li> <li>თუ აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ან შესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად;</li> </ul> <p><b>• მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;</b></p> <p><b>• მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;</b></p> <p><b>• კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა;</li> <li>თუ აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგების შესასრულებლად, ან სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადავად;</li> <li>თუ აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;</li> <li>თუ საჭიროა მონაცემთა დამუშავების მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;</li> <li>თუ აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად (დანაშაულის პრევენცია, გამოძიება და ა.შ.).</li> <li>თუ აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ან შესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად.</li> </ul>

## 5. პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფისი

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
მსგავსი ინსტიტუტი არ არსებობს	ჩამოწვლილი ორგანიზაციები მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის გაცემის უზრუნველსაყოფად ვალდებული გახდებიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფისერი: <ul style="list-style-type: none"> <li>საჯარო დაწესებულება</li> <li>სადამღვევო ორგანიზაცია</li> <li>კომერციული ბანკი</li> <li>მიკროსაფინანსო ორგანიზაცია/საკრედიტო ბიურო</li> <li>ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია</li> <li>ავიაკომპანია</li> <li>აეროპორტი</li> <li>სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10000 მონაცემთა სუბიექტს</li> <li>მონაცემთა დამუშავებელი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს.</li> </ul>

## 6. არასრულწლოვანი პირის მონაცემთა დამუშავება

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
არასრულწლოვანებზე სპეციალური რეგულირება არ არსებობს.	არასრულწლოვანი პირის მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია თუ მან მიაღწია 14 წლის ასაკს, ხოლო 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირის - მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. <sup>1</sup>

## 7. ინციდენტის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის შეწყობინების ვალდებულება

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
ასეთი ვალდებულება არ არსებობს	მონაცემთა დამუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა შუატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. <sup>2</sup>

## 8. პერსონალური მონაცემის მიღების წესების დარღვევის დროს პირის პასუხისმგებლობის განმარტება

მოქმედი რეალაცია	შემოთავაზებული ცვლილება
პირი იდენტიფიცირებადი, როდესაც შეიძლება მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ: <ul style="list-style-type: none"> <li>საიდენტიფიკაციო ნომრით</li> <li>ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.</li> </ul>	პირი იდენტიფიცირებადი, როდესაც შეიძლება მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ: <ul style="list-style-type: none"> <li>სახელით, გვარით,</li> <li>საიდენტიფიკაციო ნომრით,</li> <li>გეოლოკაციის მონაცემებით,</li> <li>ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით,</li> <li>ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.</li> </ul>

## შეჯამება / რეკომენდაციები

დადებითად უნდა შეფასდეს პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

**მნიშვნელოვანია ევროკავშირის რეგულაციები მუსტად აისახოს კანონმდებლობაში და გონივრულ ვადებში მოხდეს მისი იმპლემენტაცია. კანონპროექტით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავების საფუძვლები სრულად არ შეესაბამება GDPR-ით განსაზღვრულ დადგინოს გარკვეული გამონაკლისები საჯარო და ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით, რაც ადეკვატურად უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში.**

კანონპროექტი შეიცავს რამდენიმე პრობლემურ საკითხს:

• კანონპროექტით გათვალისწინებულია მონაცემების დამუშავების საფუძვლების შემცირება, მათ შორის შეუძლებელი გახდება მონაცემების დამუშავება, რომელიც კანონის თანახმად ისედაც გასაჯაროებული და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად ცვლის ბალანსს გამჭვირვალობისა და საჯაროობის საზიანოდ. კანონპროექტი არ უშვებს ასეთი ინფორმაციის დამუშავების უფლებას მაშინაც კი, თუ დამუშავების მიზანი არის ისეთი საჯარო სიკეთების მიღწევა, როგორიცაა მაგალითად კორუფციასთან ბრძოლა, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა და ა.შ.

• კანონპროექტში არ არის ასახული საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, რომელშიც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა მოქმედი კანონის მე-5 და მე-6 მუხლების ის ნორმატიული მონაწილეობა და საჯაროობის კრძალვადაც შესაძლებელია აქტების, როგორც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ასევე მონაცემების დამუშავების მიზნით, თუ ეს უშუალოდ ეხება მონაცემთა დამუშავების უფლებას მაშინაც კი, თუ დამუშავების მიზანი არის ისეთი საჯარო სიკეთების მიღწევა, როგორიცაა მაგალითად კორუფციასთან ბრძოლა, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა და ა.შ.

• კანონპროექტით არ არის ასახული საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილ სასამართლო აქტების საჯაროობის სტანდარტს;

• კანონის ამოქმედების ვადა უნდა გადაიდოს 6 თვეზე მეტი ვადით;

• დარჩენილი დროს მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოიყენოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა კანონის აღმასრულებლისთვის მისი ახალი მოთხოვნების გასაცნობად.

1 GDPR თანხმობის ასაკს 16 წლიდან განსაზღვრავს, თუმცა უშვებს წევრ სახელმწიფოებისთვის თვითონ განსაზღვრონ ეს ასაკი იმ პირობით თუ ის არანაკლებ 13 წელი იქნება.

2 ინციდენტი - მონაცემთა უსაფრთხოების რეალური დარღვევა ან დარღვევის პოტენციური საფრთხე, რომელიც ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით და იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მონაცემების უნებართვო გამჟღავნება, დაზიანება, განადგურება, დაკარგვა, შეცვლა, მითზე უნებართვო წვდომა, შეგროვება/მოპოვება და რომელიც ლახას ან საფრთხეს უქმნის მონაცემთა სუბიექტის უფლებას ან/და ინტერესს.